

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა. რეკომენდაცია 1580 (2002) საქართველოს სიტუაციისა და კავკასიის რეგიონის სტაბილიზაციასთან დაკავშირებული შედეგების შესახებ

1. ევროპის საბჭოს წევრობა ყველა წევრი-სახელმწიფოსთვის ნიშნავს დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის სფეროებში კოლექტიური პასუხისმგებლობის საქმისადმი ერთგულებას და ამის გამო ძალის გამოუყენებლობას წევრ-სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაში და დავის მოწესრიგებას საერთაშორისო სამართლის საფუძველზე;

2. გაყინული კონფლიქტები კავკასიაში, იმათი ჩათვლით, სადაც შეწყვეტილია აქტიური საომარი მოქმედებები, წინანდებურად წარმოადგენენ სტაბილურობის საფრთხეს ძალადობის განახლების მუდმივი საშიშროების გამო;

3. ასამბლევას მიაჩნია, რომ ევროპის საბჭომ უნდა გაააქტიუროს თავისი მონაწილეობა კავკასიის პრობლემების გადაწყვეტაში და დაინტერესებულ ქვეყნებთან ერთად გადადგან ქმედითი ნაბიჯები რეგიონში მშვიდობიანი პროცესებისა და სტაბილიზაციის დამატებითი სტიმულირების მიზნით;

4. უნდა გაგრძელდეს საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის მიერ თავიანთი შესაბამისი ტერიტორიების ფარგლებში საერთო საზღვრის გასწვრივ მშვიდობისყოფის და უფლებამოყენების ძალისხმევა;

5. გაეროს წესდების 51-ე მუხლი და გაეროს უშიშროების საბჭოს 1269 (1999) რეზოლუცია საერთაშორისო ტერორიზმის შესახებ, აგრეთვე გაეროს უშიშროების საბჭოს 1368 (2001) რეზოლუცია არ უშვებს რუსეთის ფედერაციის ან რომელიმე სხვა სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენებას საქართველოს ტერიტორიაზე;

6. ასამბლეა მზადაა, შესთავაზოს კეთილი სამსახური და პლატფორმა ამ კონტექსტში საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის პარლამენტებს შორის დიალოგის გასამართად;

7. ასამბლეა მიესალმება რუსეთის საკანონმდებლო კრებისა და საქართველოს პარლამენტის დელეგაციებს შორის მორიგებას რუსული და ქართული მხარის მონაწილეობით ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ფაქტების დამდგენი ერთობლივი მისიის მოსკოვში, თბილისში და კონფლიქტის რაიონში გაგზავნის აუცილებლობის შესახებ ასამბლეის ბიუროზე მოხსენების წარდგენის მიზნით;

8. ასამბლეა წახალისებს საკითხს ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის თბილისში მუშაობის შესახებ, რომლის დანიშვნაც მოწოდებულია იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ევროპის საბჭოს, დაეხმაროს საქართველოს ხელისუფალთა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობებს შორის თანამშრომლობას;

9. ასამბლეა მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას:

I. კვლავ დაადასტუროს ერთგულება თავის ტერიტორიაზე კონფლიქტების მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით გადაჭრის საქმისადმი და, ამასთან კავშირში, თავი შეიკავოს ამ კონფლიქტების ძალისმიერი გადაწყვეტის მომხრე ძალების პირდაპირი ან ირიბი მხარდაჭერის ყოველგვარი აქციისაგან.

II. მიიღოს გადაამჭრელი ზომები, რომლებიც დაადასტურებენ მის ურყევ განზრახვას, გააგრძელოს დემოკრატიული რეფორმები ქვეყანაში, კერძოდ, 2002 წლის ივნისის ადგილობრივი არჩევნების ფონზე;

III. გააგრძელოს ძალისხმევა საქართველოს მიერ ევროპის საბჭოში შესვლისას ნაკისრი ვალდებულებების შესრულების საქმეში არსებითი პროგრესის მისაღწევად.

IV. ითანამშრომლოს ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოსთან ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში და მიიღოს აუცილებლად საჭირო ზომები თავისი ტერიტორიის ყველა ნაწილში, პანკისის ხეობის ჩათვლით, მართლწესრიგის უზრუნველსაყოფად;

V. გაატაროს მკაცრი ღონისძიებები კორუფციასთან და სისხლისსამართლებრივი მოქმედებების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით;

VI. დააწესოს საჯაროობა უცხოური დახმარებების განაწილების სფეროში ავტონომიური რეგიონების მიერ თავიანთი სამართლიანი წილის მიღების უზრუნველყოფის მიზნით;

VII. გაააქტიუროს დიალოგი რუსეთის ფედერაციასთან სამთავრობო და საპარლამენტო დონეზე იმ მიზნით, რომ შეიმუშაონ გადაწყვეტილებები იმ საკითხებზე, რომლებიც იწვევენ დაძაბულობას ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაში;

10. ასამბლეა დაბეჯითებით მოუწოდებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობას, უარი თქვან თავიანთ ხისტ პოზიციაზე და დათანხმდნენ საქართველოს ფარგლებში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსის შესახებ სერიოზულ მოლაპარაკებებზე;

11. ასამბლეა მოუწოდებს რუსეთის ფედერაციის ხელისუფალთ:

I. თავი შეიკავონ ყოველგვარი მოქმედების ან განცხადებისაგან, რომელიც შეიძლება იყოს საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევა ან საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე რაიმე სამხედრო მოქმედებების ჩატარებისაგან, როგორც ეს განაცხადა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა 2002 წლის 11 სექტემბერს;

II. თავი შეიკავოს ყოველგვარი ცალმხრივი ღონისძიებისაგან, რომელიც შეეხება საქართველოს და მის მოქალაქეებს, კერძოდ, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ქართულ ხელისუფლებასთან წინასწარი განხილვისა და თანხმობის გარეშე ეკონომიკური დახმარებისა და ადამიანებისა და საქონლის თავისუფალი გადაადგილების სფეროში, განსაკუთრებით ვიზებთან, საბაჟო და საპასპორტო საკითხებთან დაკავშირებით;

III. გაააქტიუროს დიალოგი საქართველოსთან სამთავრობო და საპარლამენტო დონეზე იმ მიზნით, რომ შეიმუშაონ გადაწყვეტილებები იმ საკითხებზე, რომლებიც იწვევენ დაძაბულობას ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაში;

IV. გამოიყვანოს შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში თავისი სამხედრო ბაზები საქართველოდან მასთან მიღწეული შეთანხმების შესაბამისად.

12. ასამბლეა იძლევა რეკომენდაციას, რომ ევროპის საბჭოს მინისტრთა კაბინეტმა:

I. წახალისოს ევროპის საბჭოს მიზნების შესაბამისად მრავალმხრივ საფუძველზე უსაფრთხოების საკითხების მოსაგვარებისკენ მიმართული გენერალური მდივნის ყველა მოქმედება.

II. ითანამშრომლოს ევროპის საბჭოსთან აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტების მოწესრიგების გაეროს მექანიზმების კონტექსტში, იმ ეკონომიკური და ტექნიკური დახმარების გათვალისწინებით, რომელსაც ეწევა ევროპის საბჭო მშვიდობიანი პროცესის ხელშეწყობის მიზნით;

III. ითანამშრომლოს ეუთოსთან საქართველოში სადამკვირვებლო საქმიანობასთან კავშირში და გამოყოს საჭირო სახსრები ამ სადამკვირვებლო საქმიანობაში ევროპის საბჭოს მონაწილეობისათვის.

IV. გაააქტიუროს საქართველოს დახმარების პროგრამები დემოკრატიული რეფორმების განმტკიცების მიზნით;

ვ. შეუდგეს რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერების პერსპექტივების განხილვას ყველა დაინტერესებულ მხარესთან და ქვეყანასთან ერთად.

2002 წლის 25 სექტემბერი

(www.coe.int)